ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2711609

ნომერი: AR1418863

თარიღი : 04.07.2016

გაცემის თარიღი : 13.07.2016

გაცნობის თარიღი : 13.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 49 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მიქაძე პ/ნ 01014000569
- თბილისი ბოდბეს ქ. N 6 ბ. 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე შპს „გონი“-ს დირექტორმა ალექსანდრე მიქაძემ 04.07.2016 წ. №AR1418863 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის კორექტირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, გორგასალის ქ. №49-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.18.06.001.014 (მიწის ნაკვეთის ფართობი: 608 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის ნომერი №882015195488, საკადასტრო კოდი: №01.18.06.001.014, ფართობით: 608 კვ.მ.) საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის კორექტირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882015195488, საკადასტრო კოდი: №01.18.06.001.014, ფართობით: 608 კვ.მ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.09.2013 წ. №854442 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.